პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 17 იანვარი 1940 წ. № 14 (5715) ფასი 10 კაპ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

დღეს გაზეთში:

დავიცვათ ციტრუსოვანთა პლანტაციები ყინვებისაგან (მოწინავე)
ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვ.)
ლენინის დღეების წინ (1-ლი გვ.)
ყინულმჭრელ „სედოვის“ გმირ ეკიპაჟს (1-ლი გვ.)
შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის (მე-2 გვ.)
მზადება საგაზაფხულო თესვისათვის (მე-2 გვ.)
ი. ვერხოვცევი — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი (მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.).
უცხოეთში:
როგორ აგრავებს შვეიცის რეაქცია „მოხალისეებს“ თეთრ ფინელების დასახმარებლად (მე-4 გვ.)
იაპონიის ახალი მთავრობის შედგენა (მე-4 გვ.).

დავიცვათ ციტრუსოვანთა პლანტაციები ყინვებისაგან

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში საქართველოს ყველა კუთხეში საგრძნობლად აცივდა და თოვლი მოვიდა. სიცივე და ყინვები შედარებით უფრო მკაცრია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში. ეს გარემოება გვავალებს მივიღოთ ყოველგვარი ზომა, რათა ყინვებმა და თოვლმა არ დააზიანოს არცერთი ძირი ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიპ-ფრუტი და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამეწარმოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებიც ციტრუსების გამოზამთრებას შეეხებოდა. მთელ რიგ რაიონებში საჭირო მასალა დროულად შეიტანეს ფარდულებში, წესიერად მოაწყეს ლიმონის და ახალგაზრდა მანდარინის ხეების შეფუთვა, ციტრუსოვანთა მცენარეების აკვრა სარებზე და სხვ.

ფოთში აცივებასთან დაკავშირებით ციტრუსოვანთა პლანტაციებში მოაწყეს 13 სასიგნალო საგუშაგო, რომლებიც სისტემატურად ამოწმებენ ტემპერატურის ცვალებადობას და ღებულობენ ზომებს ყინვისაგან ციტრუსების დასაცავად. ფარდულებში, სადაც ნერგებია მოთავსებული, ანთებენ ღუმელებს. ცალკეულ პლანტაციებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც ოპერატიულად ხელმძღვანელობენ ყინვებისაგან ციტრუსების დაცვის სამუშაოებს.

ბათუმის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მომარაგებული აქვთ თვითეული სათბურისათვის 10 დღის საყოფი საწვავი მასალა. ციტრუსოვანთა პლანტაციებში მოზიდულია ნახერხი, ფიჩხი და სხვ., რომ საჭიროების დროს კოცონები აანთონ და თავიდან აიცილონ ყინვებისაგან მცენარეთა დაზიანება. საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომმა ამავე მიზნით კოლმეურნეობებს რაიონის 44 პასუხისმგებელი მუშაკი მიამაგრა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ყინვებისაგან ციტრუსების დაცვის საქმეში ყველაფერი რიგზე იყოს. ცალკეულ რაიონებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსების გამოზამთრების სამუშაოებს ნაკლები ყურადღება ექცევა. მაგალითად, ბათუმის რაიონის სოფ. მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ციტრუსოვანთა ფარდულში 15 იანვარს არ იყო მოზიდული შეშა, ფარდულში არავინ მორიგეობდა. ორთაბათუმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ბერიძემ დროულად არ მიიღო ზომები ციტრუსების შესაფუთავად, რამაც გამოიწვია ლიმონისა და მანდარინის ზოგიერთი ხის ყინვისაგან დაზიანება. ასეთსავე შემთხვევას ჰქონდა ადგილი ამავე რაიონის სოფ. ახალშენის კოლმეურნეობა „მებრძოლშიც“.

ასეთი დამოკიდებულება ციტრუსოვანთა სანერგეებისა და პლანტაციების გამოზამთრების სამუშაოებისადმი ყოვლად დაუშვებელია. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ყინვებმა და თოვლმა არ დაგვიზიანოს არცერთი ძირი ციტრუსი. აქეთკენ უნდა იქნას დარაზმული კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო მასების ყურადღება.

საჭიროა სისტემატურად ხდებოდეს ციტრუსოვანთა ხეების თოვლისაგან გაწმენდა, სანერგეებში, ფარდულებსა და პლანტაციებში ყველგან დაწესდეს სტახანოველთა და გამოცდილ კოლმეურნეთა სადღეღამისო მორიგეობა. მორიგეებმა თვალყური უნდა ადევნონ ტემპერატურის ცვალებადობას და საჭიროების დროს მიიღონ ზომები ციტრუსების დასაცავად. ციტრუსოვანთა ყველა ფარდულს სკამაო რაოდენობით უნდა ჰქონდეს ნავთქურები, ღუმელები და საწვავი მასალა ხელოვნური გათბობისათვის. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ გამოცდილება მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობისა, რომლებიც ყინვების გავლენის შესამცირებლად ციტრუსოვანთა პლანტაციებში ახთებენ ცეცხლს და ამ მიზნით იყენებენ ისეთ იაფ საწვავ მასალას, როგორიცაა ნახერხი, ფიჩხი, ჩალის უვარგისი ღეროები და სხვ.

ყინვებისაგან ციტრუსების დაცვის მთელი სამუშაო უნდა ჩატარდეს აგრონომების და აგროტექნიკოსების მტკიცე და სისტემატური მეთვალყურეობით. მოწინავე სტახანოველებსა და პრაქტიკოსებზე დაყრდნობით მათ უნდა აუხსნან და შეასწავლონ კოლმეურნეებს, თუ რა გზით, რა საშუალებებით უნდა მოხდეს ციტრუსების სანიმუშოდ გამოზამთრება.

პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებმა, რაიასაბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებმა და მიწგანების გამგეებმა პირადად უნდა შეამოწმონ ციტრუსოვანთა გამოზამთრების სამუშაოების მიმდინარეობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებში და დროულად დასახონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ბრძოლა ციტრუსების სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის — ეს არის ბრძოლა იმისათვის, რომ 1940 წელს მივიღოთ მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის და გრეიპფრუტის კიდევ უფრო უხვი და ბარაქიანი მოსავალი, კიდევ უფრო წინ წავწიოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ კოლმეურნეთა შეძლებულობა და პირნათლად შეასრულოთ ის საბრძოლო დავალებანი, რომლებიც მსოფლიოს მშრომელთა საყვარელმა ბელადმა დიდმა **სტალინმა** და საკ. კ. პ. (ბ) XVIII სყრილობამ დასახეს ჩვენს წინაშე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მსროლელთა მე-19 პოლკის „წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ საქმეში მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის მსროლელთა მე-19 პოლკი დაჯილდოებულ იქნას **„წითელი დროშის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოლაკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 15 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის წითელარმიელებისა და უფროსთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ საქმეში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და **მედალი „ოქროს ვარსკვლავი“:**

1. წითელარმიელს ვლადიმერ კუზმას-ძე **არტიუხს**
2. უმცროს მეთაურს ვასილ პეტრეს-ძე **ბახვალოვს**
3. უფროს ლეიტენანტს ნიკიფორე გრიგოლის-ძე **ბოლშაკოვს**
4. ლეიტენანტს ვიქტორ კონსტანტინეს-ძე **ბულავსკის**
5. ბრიგადის მეთაურს პეტრე ევგენის-ძე **ვეშჩევს**
6. უმცროს მეთაურს ბორის ვასილის-ძე **ვოლკს**
7. წითელარმიელს კუზმა დიმიტრის-ძე **ვისოცკის**
8. უმცროს მეთაურს ვასილი ივანეს-ძე **გალახოვს**
9. ლეიტენანტს ვასილი გრიგოლის-ძე **გრუზდევს**
10. პოლკოვნიკს ვლადიმერ ნესტორის-ძე **კოშუბას**
11. უმცროს ლეიტენანტს ნიკოლოზ გრიგოლის-ძე **კიჩიგინს**
12. წითელარმიელს ივანე მიხეილის-ძე **კომაროვს**
13. მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსს ივანე ივანეს-ძე **კოვალს**
14. უმცროს მეთაურს გრიგოლ მიხეილის-ძე **ლაპტევს**
15. უმცროს მეთაურს მიხეილ ანდრიას-ძე **ლარჩენკოს**
16. უმცროს მეთაურს მიხეილ აბრამის-ძე **ლობასტევს**
17. უმცროს მეთაურს თევდორე ივანეს-ძე **ლოპატინს**
18. უმცროს მეთაურს ევგენი ალექსის-ძე **ლუპოვს**
19. უფროს ლეიტენანტს დავით ლევის-ძე **მარგულისს**
20. წითელარმიელს ნიკოლოზ ნიკიტას-ძე **ნიკიტინს**
21. წითელარმიელს გრიგოლ სტეფანეს-ძე **პულკინს**
22. ლეიტენანტს მიხეილ მათეს-ძე **როდჩევს**
23. წითელარმიელს კარაპეტ სიმონის-ძე **სიმონიანს**
24. წითელარმიელს ივანე მიხეილის-ძე **სოლომონიკოვს**
25. უმცროს ლეიტენანტს პავლე ვასილის-ძე **უსოვს**
26. წითელარმიელს ივანე მიხეილის-ძე **ულიანოვს**
27. კაპიტანს ნიკოლოზ სტეფანეს-ძე **უგრიუმოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოლაკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 15 იანვარი.

წითელი არმიის სამხედრო ნაწილების, უფროსთა შემადგენლობისა და წითელარმიელთა დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 27 მეთაურსა და წითელარმიელს სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ საქმეში მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის მსროლელთა მე-19 პოლკი დაჯილდოებულ იქნას **„წითელი დროშის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოლაკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 15 იანვარი.

ყინულმჭრელ „სედოვის“ გმირ ეკიპაჟს

უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და უზბეკეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭო მზიური უზბეკეთის მშრომელთა სახელით უდიდესი სიხარულითა და სიამაყით მოგესალმებათ და მოგილოცავთ გმირული დრეიფის წარმატებით დამთავრებას.

26 თვის დრეიფის განმავლობაში თქვენ მხოლოდ ჩვენი დიადი სამშობლოს ადამიანებისათვის ჩვეული განსაკუთრებული მამაცობით აწარმოებდით დაკვირვებებს, რომლებიც დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენენ და ხელს უწყობენ არქტიკის ათვისებას.

თქვენ ხართ პირველნი, რომლებმაც განახორციელეთ ყველა დროის პოლარელ მკვლევართა სანუკვარი ოცნება არქტიკის მაღალ განედებში სადღეღამისო დაკვირვებათა ჩატარების შესახებ. სახელგანთქმულ ყინულმჭრელ „სედოვის“ გმირმა ეკიპაჟმა ბრწყინვალედ განაგრძო ლეგენდარულ პაპანინელთა მოგზაობა.

უზბეკეთის მშრომელები დაუცხრომლად ადევნებდნენ თვალყურს თქვენს თავდადებულ მუშაობას, და ყოველი თქვენი წარმატება იყო მთელი საბჭოთა ხალხის წარმატება. თქვენი საქმენი ხალხს აღაფრთოვანებენ იმისათვის, რომ მეტი შემოქმედებითი შრომა გასწიოს საბჭოების ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მგზნებარე სალამი თქვენ, დიადი სამშობლოს გმირ შვილებს.

უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.
უზბეკეთის სსრ სახკომსაბჭო.

საბჭოთა ხალხის შვილნი

სოციალისტური სამშობლოს თხუთმეტი მამაცი შვილი ორ წელზე მეტ ხანს სასტიკ პირობებში სწვლობდა გამოუკვლეველი, მომაკვდინებელი საფრთხით აღსავსე პოლარულ აუზს. სედოველებმა კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩასწერეს ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების ისტორიაში.

საბჭოთა კავშირმა კაცობრიობის ისტორიაში სრულიად უმაგალითო მუშაობა გაშალა არქტიკის გამოსაკვლევად და ასათვისებლად. ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს იმ მუშაობის შედეგები, რომელიც პაპანინელთა გმირმა თხუთმეტმა გასწია. ამის შემდეგ ფოლადის წითელ-ფრთიანი ფრინველებით ჩრდილოეთის პოლუსს გადაუქროლეს სტალინელმა შავარდნებმა — ჩკალოვმა და გრომოვმა. ახლა ჩვენი ქვეყანა ემზადება იმისათვის, რომ ზეიმი გაუმართოს არქტიკის დამორჩილებელ ახალ გმირებს — სედოველებს.

სედოველები ასახიერებენ გმირ საბჭოთა ხალხს, მის სიდინჯეს, უშიშრობასა და მამაცობას. გმირი ეკიპაჟი სძლევდა ყოველ ზღუდეს, რადგან იცოდა, რომ იგი მარტო არ არის, რომ მას ზურგს უმაგრებს საყვარელი სამშობლო, ძლიერი საბჭოთა ხალხი, ბოლშევიკების პარტია, დიდი სტალინი. ეს ენერგიასა და სიმამაცეს ჰმატებდა სედოველებს, მიჰყავდა ისინი სუსხიან არქტიკაზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად.

მგზნებარე სალამი მამაც სედოველებს!

ა. ზ. სტახანოვი.

ბადიგინთა ოჯახი (მარცხნიდან)—მამა სერგეი კონსტანტინეს-ძე, და ელენა, ცოლი ოლგა ლავრენტის-ასული და დედა ევგენია ივანეს-ასული კითხულობენ ცნობებს „გ. სედოვის“ დრეიფის შესახებ.
ფოტო ი. მალსკისა.
(საკდესის ფოტოკლიშე).

ჩვენი ქვეყანა ჭაშს უკრავს გმირებს

ჩვენი სამშობლოს თხუთმეტმა უშიშარმა შვილმა 800 დღეზე მეტი გაატარა მოდრეიფე გემზე არქტიკის მძიმე ყინულებში და მთელ მსოფლიოს უჩვენა, თუ რა შეუძლიათ სტალინური ეპოქის ადამიანებს, დიადი ბოლშევიკური პარტიის, ამხანაგ სტალინის მიერ აღზრდილ ადამიანებს.

არქტიკის მამაც გმირებს, ჩვენს სედოველებს არავითარი დაბრკოლება, არავითარი ზღუდე არ აშინებთ. ისინი მედგრად ებრძოდნენ არქტიკის ვერაგულ სტიქიონს, გულდამშვიდებით და მეთოდურად დღითიდღე, საშინელი სიცივის, პურგის, ნისლის, უკუნი პოლარული წყვდიადის მიუხედავად, ასრულებდნენ განსაკუთრებული მნიშვნელობის სამეცნიერო მუშაობას. სედოველებმა თავიანთი დაძაბული მუშაობით მოიპოვეს ახალი მასალები, რომლებმაც მეცნიერება გაამდიდრეს.

თხუთმეტ მამაც საბჭოთა ადამიანს ტაშს უკრავს მთელი ჩვენი სამშობლო. ყოველ საბჭოთა მოქალაქეს უსაზღვროდ ახარებს სამშობლოში თავისი თანამოქალაქეთა დაბრუნება, რომლებმაც თავიანთი გმირობით ასახელეს საბჭოთა ხალხი.

სედოველთა ლეგენდარული დრეიფი ისტორიაში შევა დაუვიწყარ ფურცლად, რომელიც სტალინის აღზრდილთა გმირობით, მამაცობითა და რკინისებური სიმტკიცით არის აღსავსე. სედოველებისაგან ისწავლის ახალგაზრდა თაობა, თუ როგორ უნდა გაიმარჯვო, თუ როგორ უნდა იბრძოლო იმ საქმისათვის, რომელსაც საყვარელი სამშობლო გაკისრებს.

ვ. კ. კოკინაკი,
საბჭოთა კავშირის გმირი.

ვ. ი. ლენინი

ლენინის დღეების წინ

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი — ლენინის დღეებისათვის

ილიჩის გარდაცვალების XVI წლისთავისათვის მუზეუმის ფილიალის დარბაზებს ახალ-ახალი მასალა ემატება. სამგლოვიარო დარბაზში გამოფენილი იქნება ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილი 11 სამგლოვიარო დროშა გორის, ბორჯომის, სენაკის, ახალციხის, ქუთაისის, ხაშურის, ოზურგეთის, ზორაპნის, ლეჩხუმის, ზუგდიდისა და ფოთის მაზრების დელეგაციებისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ვ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეს თბილისში გამართულ სამგლოვიარო დემონსტრაციაში.

ჯოლნიდელების — ქალაქ ფოთის დელეგაციის — ხავერდოვან დროშაზე დაწერილია ფიცის სიტყვები: „ქალაქ ფოთის მუშებისა და გლეხებისაგან.

მსოფლიო რევოლუციის დიდ გენიოსს, მასწავლებელსა და ბელადს ამხ. ლენინს.

ფიცსა ვდებთ შენი ცხედრის წინაშე, რომ ძირს არ დაუშვებთ კომუნიზმის დროშას“.

მუზეუმის ფილიალს ემატება სამი საუცხოო სურათი; ეს სურათები დახატულია 1924 წელს მხატვარ ბიალინიცკი - ბირულის მიერ, რომელიც გორკში ცხოვრობდა. ამ სურათთა შორის არის: ხეივანი გორკში, სახლი გორკში, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ვ. ი. ლენინი, ვ. ი. ლენინის ოთახი გორკში.

1920 წელს ამხანაგმა სტალინმა მოხსენება გაკეთა ქალ. ბაქოში თემაზე „სამი წელი პროლეტარული დიქტატურისა“. ბაქოში ყოფნისას ამხანაგმა სტალინმა პარტიის ბაქოს კომიტეტს უთავაზა ფოტოპორტრეტი ავტოგრაფითურთ: **„ბაქოს კომიტეტს სამახსოვროდ ი. სტალინისაგან“.**

ამჟამად ამ ფოტოპორტრეტის პირიც შეტანილი იქნება მუზეუმის ექსპოზიციაში.

გარდა ამისა, ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს უახლოეს ხანში შეემატება ახალი უაღრესად საყურადღებო და საინტერესო დოკუმენტები და მასალები. სპეციალურ კვარცხლბეკზე დაიდგმება თბილისის ერთერთი იმ არალეგალური ბოლშევიკური სტამბის საბეჭდავი მანქანა „ამერიკანკა“, რომელმაც 1907 წლიდან 1912 წლამდე იარსება. რადგან სტამბას ჩავარდნის საფრთხე მოელოდა, ეს მანქანა 1912 წლის მარტში გადმოტანეს და მიწაში ჩაფლეს. „ამერიკანკა“ მხოლოდ 1926 წელს ამოთხარეს და ამ უკანასკნელ დრომდე თბილისის რევოლუციის ყოფილ მუზეუმში ინახებოდა. აქვე სპეციალურ ყუთებში გამოფენილი იქნება ქალაქ ბათუმის იმ არალეგალური ბოლშევიკური სტამბის „შრიფტი“, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მოაწყო 1901 წელს.

ლენინის დღეებში ქალაქის დიდ საწარმოებსა და დაწესებულებებში გაიმართება მშრომელთა სახიერსამგლოვიარო კრებები, რომლებზე დაც ფილიალის მეცნიერი მუშაკები გააკეთებენ მოხსენებებს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაობის შესახებ. (საქდესი).

ნითელი არმიის საოლქო სახლში

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის საოლქო სახლი კარგა ხანია ემზადება დიდი ლენინის გარდაცვალებიდან XVI წლისთავის აღნიშვნისათვის. გამოყოფილი არიან მომხსენებლები და აგიტატორები, რომლებიც განაწილებული არიან სამხედრო ოლქის ნაწილებში ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებებისა და საუბრების ჩასატარებლად. საოლქო სახლთან არსებულ პარტკაბინეტში მომხსენებლებთან და აგიტატორებთან სისტემატურად ტარდება საინსტრუქტორო თათბირები და საუბრები ილიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საოლქო სახლის ბიბლიოთეკაში მოწყობილია ლენინის ნაშრომთა გამოფენა და გამოფენა იმ მხატვრულ-ბელეტრისტული ლიტერატურისა, სადაც ასახულია დიდი ლენინი.

საოლქო სახლის ერთერთ დარბაზში მოწყობილია ილიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფოტო-დოკუმენტების გამოფენა.

21 და 22 იანვარს სახლში გაიმართება ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

თბილისის საორთქლმავლო დეპოში

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით დეპოს საამქროებში დაიწყო საუბრების ჩატარება ილიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. საუბრებს ატარებს დეპოს 24 აგიტატორი.

19 იანვარს დეპოს კლუბში მოწვეულია ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა. სხდომის შემდეგ დეპოს მუშებს უჩვენებენ კინოფილმს „ლენინი ოქტომბერში“.

დეპოს სამკითხველოში მოწყობილია ილიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ფოტოდოკუმენტები და ილიჩის ლიტერატურული ნაშრომები.

17 იანვარს დეპოს პარტიული ორგანიზაცია ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში აწყობს დეპოს მუშათა ექსკურსიას, რომელშიაც 80-მდე კაცი მიიღებს მონაწილეობას.

სკოლებში

ლენინის გარდაცვალების 16 წლისთავის აღნიშვნას ჩვენი სკოლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ლენინის დღეებს სკოლები ჩაატარებენ ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისა და ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრების ფართო პროპაგანდის ნიშნით.

დაწყებითს სკოლებში ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საუბრები იქნება მარტივი, ბავშვებისათვის გასაგები. მასწავლებლები უამბობენ ბავშვებს ლენინის ბავშვობისა და ცხოვრების სხვადასხვა მომენტებს, წაუკითხავენ პატარ-პატარა მოთხრობებსა და ლექსებს.

21 იანვარს ყველა დაწყებითს სკოლაში მოეწყობა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი დილა. დარბაზი, სადაც დილა მოეწყობა, მოირთვება დროშებით, ლენინის სურათებით. მოეწყობა ლენინისადმი მიძღვნილი ლექსების მხატვრულად წაკითხვა, სიმღერები და სხვ.

არასრულ საშუალო და საშუალო, მოზრდილთა და მოზარდთა სკოლებში და პედსასწავლებლებში სასწავლო პროგრამის სათანადო ადგილები დაუკავშირდება ლენინის ხსოვნის დღეებს.

იქ, სადაც მოსახერხებელია, მოეწყობა მოსწავლეთა კოლექტიური დასწრება ცნობილ კინოფილმებზე: „ლენინი ოქტომბერში“, „დიადი გახთიადი“, „თოფიანი კაცი“ და სხვ.

21 იანვრისათვის სკოლები გამოუშვებენ ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ კედლის გაზეთებს. ამავე დღეს სკოლები მოაწყობენ საღამოებს.

ოპერაციული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

16 იანვრის განმავლობაში **მურმანსკის, უხტის** და **რებოლის** მიმართულებით სწარმოებდა მზვერავთა საძიებო მოქმედებანი. **პეტროზავოდსკის** მიმართულებით გრძელდებოდა ქვეითი ნაწილების შეტაკებები. **კარელიის ყელზე**—იშვიათი საარტილერიო სროლა.

მტრის ცდები ფართო ფრონტზე მოეხოლინა ძიება უკუქცეულ იქნა ჩვენი სადაზვერვო ნაწილების მიერ. მტერმა დიდი ზარალი ნახა.

ჩვენი ავიაცია აწარმოებდა სადაზვერვო ფრენას და ზოგ ადგილას ბომბარდირებული იქნა რკინიგზის კვანძები და სამხედრო ობიექტები.

წერილი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მიმართ

12 იანვარს „დეილი ექსპრესის“ რედაქციისაგან, რომლის კორესპონდენტადაც ვითვლები მოსკოვში, მივიღე მოთხოვნა მიმეწოდებინა ინფორმაცია ფინეთის საკითხის შესახებ. გაზეთს პასუხისათვის არ დაუცდია და 13 იანვარს დაბეჭდა ცრუ ცნობა და დაიმოწმა თავისი მოსკოველი კორესპონდენტი.

იმის გამო, რომ „დეილი ექსპრესმა“ გამოიყენა ფალსიფიკაციის შეუწყნარებელი მეთოდი, რაც შეუთავსებელია ჩემს, როგორც ჟურნალისტის ღირსებასთან, გამოვთქვი რა პროტესტი, ხელი ავიღე ამ გაზეთის თანამშრომლობაზე.

გთხოვთ დღეიდან აღარ ჩამთვალოთ „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტად.

რობერტ მაგიდოვი.

1940 წ. 15 იანვარი.

ბაკინის ფერგანის არხის განგრძობა

სტალინაბადი, 13 იანვარი (საკდესი). სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის განგრძობის სამუშაო ვადაზე ადრე დაიწყო. მშენებლობაზე პირველნი გამოვიდნენ ლენინაბადის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „პუტ სტალინის“ კოლმეურნეები. ამუშავდა წერაქვები, ქერქშენები, აპრიალდა ნიჩბები, ამოჭყარეს მიწის პირველი ბელტები.

გუშინ მშენებლობაზე ათასობით კოლმეურნეები მუშაობდნენ.

კოლმეურნეებს მოაქვთ ამხანაგ სტალინის პორტრეტები და განუწყვეტელ ნაკადად მიდიან წყლის ახალი მაგისტრალის მშენებლობაზე. მარტო პროლეტარსკის რაიონის კოლმეურნეობებიდან ვადამდე გამოვიდა 2 ათასი კოლმეურნე.

მოსკოვი სედოველების შესახვედრად ემზადება

უდიდესი სიხარულით შეხვდნენ წითელი დედაქალაქის მშრომელნი ცნობას ყინულმჭრელ „სედოვის“ გმირული დრეიფის დამთავრების შესახებ. მოსკოვის კლუბებში, თეატრებში, კულტურის სახლებში, სკოლებში და საწარმოებში იმართება ლექციები სედოველების შესახებ, სახელოვან პოლარელებისადმი მიძღვნილი გამოფენები, კონცერტები და საღამოები. (საკდესი).

ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚ-ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲗᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲡᲔᲓᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ორი ყინულმჭრელის შეხვედრის ამბავს აღტაცებითა და სიხარულით შეხვდნენ მოსკოვში მყოფნი სედოველთა ახლობლები. 13 იანვარს, საღამოს, ყინულმჭრელ „ი. სტალინინსა" და „გ. სედოვის" მისამართით ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს რადიოცენტრის საშუალებით სედოველების ახლობლებმა შემდეგი მისასალმებელი რადიოგრამები გაგზავნეს:

1. „ყინულმჭრელ გემ „სედოვს"—ამხანაგ ბადიგინსა და ტროფიმოვს. უდიდესი სიხარული გამოიწვია ჩვენში ცნობამ იმის შესახებ, რომ ყინულმჭრელი „ი. სტალინი" მიადგა „სედოვს". დარწმუნებულნი ვართ, რომ უახლოეს დღეებში გულში ჩავიკრავთ ჩვენს ახლობლებსა და ნათესავებს საბჭოთა მიწა-წყალზე. მოუთმენლად ველით თქვენს მშვიდობით დაბრუნებას".

2. „ყინულმჭრელ „ი. სტალინს"— ამხანაგ პაპანინსა და ბელოუსოვს. მხურვალედ გილოცავთ თქვენ და ყინულმჭრელის მთელს ეკიპაჟს დიდ გამარჯვებას, რომელმაც უდიდესი სიხარულით აღავსო ჩვენი გული,—მთავრობის დავალების პირველი ნაწილის შესრულებას. დიდ მადლობას გიძღვნით, დარწმუნებული ვართ, რომ ყინულმჭრელი „ი. სტალინი" უახლოეს დღეებში წარმატებით გამოიყვანს სედოველებს—ჩვენს ახლობლებსა და ნათესავებს—ყინულების ტყვეობიდან. მაგრად გართმევთ ხელს. დიდი მოუთმენლობით მოგელით თქვენ და ჩვენს ახლობლებს მურმანსკში".

რადიოგრამებს ხელს აწერენ: ო. ᲑᲐᲓᲘᲒᲘᲜᲐ, Ხ. ᲑᲐᲓᲘᲒᲘᲜᲘ, Ე. ᲑᲐᲓᲘᲒᲘᲜᲐ, ᲙᲣᲖᲛᲘᲜᲐ, ᲚᲝᲒᲑᲐᲡᲝᲕᲐ, ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲐ. ᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐ, ᲡᲝᲒᲝᲚᲝᲕᲡᲙᲘ, ᲞᲝᲚᲘᲐᲜᲡᲙᲘᲐᲜᲐ, ᲒᲣᲜᲘᲜᲘᲪᲙᲘᲐᲜᲐ, ᲒᲣᲢᲝᲠᲘᲜᲐ, ᲖᲐᲠᲘᲞᲝᲕᲐ, ᲜᲔᲓᲕᲔᲪᲙᲘ, ᲒᲔᲢᲛᲐᲜᲘ, ᲛᲔᲒᲔᲠᲘ, ᲙᲘᲔᲕᲐ, ᲑᲔᲙᲐᲡᲝᲕᲘ, ᲔᲤᲠᲝᲕᲘ. (საკდესი).

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲓ!

არქტიკული სამეცნიერო - საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივი უდიდეს სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ არქტიკის ფლოტის ფლაგმანი ყინულმჭრელი „ი. სტალინი" გმირულ სედოველებს შეხვდა. ამ დღეს—საბჭოთა მეცნიერების ისტორიული გამარჯვების დღეს—ჩვენი გული ისევე, როგორც მთელი 183 მილიონიანი საბჭოთა ხალხის გული აღსავსეა სიამაყით ჩვენი დიადი სამშობლოსათვის, ჩვენი ნამდვილად მოწინავე მეცნიერებისათვის, იმ საბჭოთა პოლარელების შეხმატკბილებული ოჯახისათვის, რომელთაც კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს არქტიკის ათვისების საქმეში.

დამთავრდა სუსხიანი არქტიკის ყინულოვან სივრცეებში საბჭოთა გემის დრეიფი, რაც ორ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა და რის მაგალითიც ისტორიას არ ახსოვს. საბჭოთა მეზღვაურების, მეცნიერი თანამშრომლების ჯგუფმა, რომელნიც უსაზღვროდ ერთგული არიან თავიანთი დიადი სამშობლოსი, ლენინ-სტალინის პარტიისა, ახალი გაჭი შეიტანა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მეცნიერების საუნჯეში. ამ ჯგუფმა განაგრძო და გააღრმავა პაპანინელთა სახელოვანი ოთხეულის მუშაობა.

მოუთმენლად ველოდით გმირ სედოველებთან სასახლოლო შეხვედრას. მთელ ჩვენს უნარსა და ცოდნას მოვანდომებთ იმას, რომ სედოველებთან ერთად გამოვიკვლიოთ მათ მიერ შეკრებილი უძვირფასესი სამეცნიერო მასალა, რათა კიდევ უფრო წინ წავწიოთ საბჭოთა მეცნიერება.

სედოველთა შესანიშნავი კოლექტივის მაგალითი აღაფრთოვანებს თვითეულ ჩვენგანს, რათა ახალი ათგმირო საქმე შეავასრულოთ და ახალი გამარჯვებანი მოვიპოვოთ ლენინ-სტალინის პარტიის სასახელოდ, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

მგზნებარე სალამი არქტიკის უშიშარ გმირებს—სახელოვან სედოველებს!

არქტიკული სამეცნიერო - საკავშირო ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 14 იანვარი, (საკდესი).

ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲐᲛᲐᲪ ᲡᲔᲓᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ

მთელი საბჭოთა ხალხი მისალმება ყინულმჭრელ „სედოვს" სახელოვან ეკიპაჟს არქტიკის მკაცრ პირობებში გმირულ დრეიფის წარმატებით დამთავრების გამო. საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მისალმებაში ნათქვამია:

„ვამაყობთ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილ საბჭოთა პოლარელების დიდი ოსტატობით, მამაცობითა და გამბედაობით. პოლარული ღამისა და მარადი ყინულების პირობებში ბრძოლით თქვენ კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩასწერეთ არქტიკის დაპყრობისა და დამორჩილების ისტორიაში".

ყინულმჭრელ „სედოვის" გმირულ ეკიპაჟს მიესალმებიან: ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და უზბეკეთის სსრ სახკომსაბჭო.

ხელოვნების მუშაკთა პირველი საოლქთაშორისო კონფერენციის დავალებით კომპოზიტორი ბარვინსკი, თეატრის რეჟისორი ბლავაცკი, მსახიობები კრასნოვიცკი, დიბროვა და რაზარიონი ლვოვიდან იწერებიან:

„ცნობა ყინულმჭრელ „ი. სტალინის" „სედოვთან" შეხვედრის შესახებ ჩვენს გულს აღავსებს სიხარულის გრძნობით და სიამაყით საბჭოთა ხალხს კიდევ ერთი უდიდესი გამარჯვებისათვის არქტიკის ათვისების საქმეში, იმ 15 მამაცი საბჭოთა პატრიოტის გმირული საქმისათვის, რომლებმაც გაამდიდრეს საბჭოთა მეცნიერება.

მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად მგზნებარე სალამს ვუთვლით და საუკეთესო სურვილებს მივუძღვნით ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილებს".

მამაც სედოველებს მიესალმებიან აგრეთვე საპატიო აკადემიკოსი — გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე შოკალსკი, ძველი პოლარელი ორდენოსანი შვიცოვი, რომელიც დიდხანს მუშაობდა ყინულმჭრელ „სედოვის" კაპიტნად, და სხვ. (საკდესი).

1940 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲒᲐᲛᲝᲣᲤᲔᲜᲐ

რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებმა, სამმართეო და საოლქო აღმასკომებმა უკვე დაამტკიცეს 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონენტების პირველი 2546 კანდიდატი.

მატულობს რიცხვი განცხადებათა, რომლებიც გამოფენაში მონაწილეობის მსურველთ შეაქვთ. 45 ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში ასეთი განცხადებები კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისაგან, მტს-ებისაგან, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისაგან, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და ორგანიზატორთაგან შემოსულია 102.894. უზბეკეთში შეტანილია 13.217 განცხადება, ეს 2.500 გასცხადებით აღემატება 1939 წლის გამოფენის მონაწილეთა რიცხვს უზბეკეთიდან. ომსკის ოლქში შეტანილია 7.384 განცხადება, რაც თითქმის ერთი-ორად აღემატება გამოფენაზე 1939 წელს მყოფ ექსპონენტთა რიცხვს. (საკდესი).

მზაკება საგაზაფხულო თესვისათვის

ᲗᲔᲡᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲦᲘᲗᲘᲓᲦᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ

(ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲙ. Კ. პ. (Ბ) ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲩᲝᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜ ᲐᲛᲮ. ᲞᲐᲞᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐᲜ)

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება საგარეჯოს რაიონში დღითიდღე ძლიერდება. საგარეჯოს და სართიჭალის მტს-ებმა წლიური გეგმით გათვალისწინებულ 77 ტრაქტორიდან დღემდე 40 ტრაქტორი შეაკეთეს. გაცხოველებით მიმდინაოეობს კოლეეუოეობათა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა და ინვენტარის რემონტი. მთლიანად შესრულებულია სათესლე მასალის გამოყოფის გეგმა. დამთავრდა კოლმეურნეობათა შორის ჯიშიანი თესლის გადაცვლა.

თესლის გაწმენდისა და შემოწმების საქმე ჩაეოორენილია. მაგალითად, სოფ. გომბორის კოლმეურნეობა „გლეხის ნაბიჯის" თავმჯდომარეს ამხ. კიზილოვსკის, ამავე სოფლის ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. სანაყოშვილს და სოფ. რუსიანის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ბაღიოოს თესლის ნიმუშები ჯერ საკონტროლო ლაბორატორიაშიც არ წარუდგენიათ შესამოწმებლად. რაც შეეხება ნაკელს, იგი ჩვენ საკმაო რაოდენობით გვაქვს დაგროვილი, ჩამორჩენილია მხოლოდ ნაკელის მინდვრად გატანის საქმე. ამას ჩვენ მალე გამოვასწორებთ.

პარტიაკომის ბიურომ 3 იანვარს განიხილა თესვისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს კიზილოვსკის, სანაყოშვილს, ბაღიაულს და სხვებს მითითება მიეცათ და დაევალათ სასწრაფოდ მიიღონ ზომები მზადებაში არსებული ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსწორებისათვის. სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს ამ მიზნით მივამაგრეთ რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები.

ტრაქტორების რემონტის ტემპები იანვარში შენელდა. ამის ერთერთი მიზეზი საათადარიგო ნაწილების სიმცირეა. მტს-მა თავის სახელოსნოში აღადგინა „ჩტზ" და „სტზ"-ის მარკის ტრაქტორების ცილინდრები, ბაკის სახურავები, დისკოები და სხვ. მაგრამ ეს საკმარისი არ არია. მაგალითად, მტს-ს არა აქვს „ჩტზ" მარკის ტრაქტორის დოლი, რომლის აღდგენა ადგილზე შეუძლებელია, რამდენიმე ტრაქტორი სავა ძრავ მზად გვაქვს, მაგრამ დოლის უქონლობის გამო შეუძლებელი ხდება მისი შეკეთება აქტით იქნას გაფორმებული.

ადგილობრივი რესურსები მთლიანად იქნება გამოყენებული, მაგრამ საჭიროა მიწსახკომიდან უფრო მეტი დახმარება, რათა დროულად მივიღოთ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები. მუშაობის დასაჩქარებლად ჩვენ გვესაჭიროება აგრეთვე 50 ტონა ქვანახშირი, 5 ტონა სხვადასხვა ზომის რკინა და 400-მდე სახნისი ხარის გუთნებისათვის.

ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲪᲚᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ

(ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲙ. Კ. პ. (Ბ) ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜ ᲐᲛᲮ. Ზ. ᲘᲒᲝᲠᲔᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐᲜ)

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი რაიკომის პლენუმზე განვიხილეთ 28 დეკემბერს. პლენუმმა ამ მხრივ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი დასახა. ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა მცხეთის მტს-მა 121,7 პროცენტით შეასრულა. რემონტის წლიური გეგმა შესრულებულია 65,1 პროცენტით, შესაკეთებელია კიდევ 15 ტრაქტორი. მტს-ს აკლდა კვალიფიციური მუშები. მუშაობის დასაჩქარებლად ჩვენს მტს-ში რაიონიდან გავგზავნეთ 7 მექანიკოსი და ზეინკალი, „აზნეფტის" მეორე განყოფილებამ მტს-ში დასახმარებლად ერთი მექანიკოსი გაგზავნა და იკისრა ვალდებულება თვის მექანიკურ სახელოსნოში გამოჩარხოს ტრაქტორების საკისარები და ზოგიერთი სხვა სათადარიგო ნაწილი.

კოლმეურნეობებში უკვე აღრიცხულია მანქანა-იარაღები და დაიწყო მათი შეკეთება. ამ მხრივ ფართოდ არის გამოყენებული საკოლმეურნეო სამჭედლები.

გეგმით გათვალისწინებული 1.011 ცენტნერი საგაზაფხულო ქერის და 503 ცენტნერი სიმინდის თესლი კოლმეურნეობებში უკვე დაჯავშნულია. გვაკლია მხოლოდ 18 ცენტნერი ხორბლის თესლი. გამოყოფილი თესლი მთლიანად ჯიშიანია. დაიწყო კოლმეურნეობათა შორის თესლის გადაცვლა.

რამდენიმე დღის წინათ ჩავატარეთ მუშა-პირუტყვის შემოწმება. სუსტი მუშა-პირუტყვი გაძლიერებულ კვებაზეა გადაყვანილი.

მცხეთის რაიონი ძალიან ჩამორჩენილია ნაკელის შეტანისა და მძრალად ხვნის გეგმების შესრულებაში. 36.270 ურმის ნაცვლად მინდვრებში დღემდე მხოლოდ 15 ათასამდე ურემი ნაკელი გვაქვს გატანილი. ვფიქრობთ ზომებს, რათა თესვის დაწყებამდე [illegible] შეგროვების გეგმა გადაჭარბებით შევასრულოთ და შეგროვილი ნაკელი თოვლის დადნობისთანავე გავიტანოთ მინდვრებში.

რაიკომის ბიუროს მიერ დასახულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ ადრეული საანეულო ხვნის გეგმა ვადაზე და გადაჭარბებით შესრულდეს და მჭრალად ხვნის გეგმის შეუსრულებლობით გამოწვეული დანაკლისი ნაწილობრივ მაინც ანაზღაურებულ იქნას.

პარტიის რაიკომის ბიურო ყოველგვარ ზომებს ღებულობს, რომ უახლოეს დღეებში გამოსწორებულ იქნას საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი.

საქმიწსახკომის თესლის ცენტრალური საკონტროლო სადგურის ლაბორატორიაში ლაბორანტი თამარ აღლაძე ამოწმებს საგაზაფხულო ხორბლის თესლის გაღივების უნარს. ფოტო რ. აკოფოვისა.

ᲕᲘᲒᲠᲫᲕᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲡᲐᲒᲐᲖᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲛᲮ. Ლ. ᲒᲐᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐᲜ)

მიმდინარე წლის გაზაფხულზე სიღნაღის რაიონში სხვადასხვა კულტურები სულ 9.000 ჰექტარზე უნდა დაითესოს. თესვის მთლიანი გეგმები უკვე დაყვანილია ცალკეულ სასოფლო საბჭოებამდე და კოლმეურნეობამდე. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 28 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე ამჟამად მიმდინარეობს ამ გეგმების დაზუსტება.

რაიონის კოლმეურნეობებში უკვე დაჯავშნულია მარცვლეულნი და ცერცვოვან კულტურათა 1.952 ცენტნერი თესლი, რაც საესებით საკმარისია. სათესლე მასალა მთლიანად გაწმენდილია და მცირე გამონაკლისს გარდა შემოწმებულია საკონტროლო ლაბორატორიის მიერ. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან ჯიშიანი თესლით. კოლმეურნეობებს შორის ამ გაზაფხულზე მხოლოდ 300 ცენტნერი ჯიშიანი ქერი უნდა გადაიცვალოს.

მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ ძოწინაე კოლმეურნეობათა დაჯილდოებამ დიდი საწარმოო ენტუზიაზმი გამოიწვია სიღნაღის რაიონში. მაგალითად, სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც მეორე ხარისხის დიპლომი მიიღო, ყოველმხრივ მზად არის საგაზაფხულო თესვისათვის. თესვისათვის სავსებით მზად არიან აგრეთვე სოფელ ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. წნორის კოლმეურნეობა „შრომის იმედი" და სხვ.

ამ კოლმეურნეობებმა უკვე შეაკეთეს იარაღ-მანქანები, გასწმინდეს და შეაძოწმეს მთელი სათესლე მასალა; მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

ულიანოვკის და ალაზნის მტს-ებმა ტრაქტორების რემონტის მე-4 კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. რემონტი ამჟამადაც შეუფერხებლად მიმდინარეობს, ამ დღეებში მასობრივად გაჩაღდა კომბაინების რემონტიც. ეს სამუშაო დაწესებულ ვადაზე იქნება შესრულებული.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

(ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

ჭიათურის მაღაროელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ მოსკოვის საიარაღო ქარხნისა და დონბასის მაღაროელთა მოწოდებას — 4 წელიწადში შეავასრულოთ ხუთწლედის დავალება შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში.

ყველა ქარხანა-მაღაროში შესდგა მიტინგები.

ციკლური ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. ს. ოთინაშვილმა აიღო ვალდებულება მარგანეცის გამოღების გეგმა 250 პროცენტით შეასრულოს და ერთი-ორად და კიდევ მეტად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ბერიას სახელობის მაღაროში იოსებ ჩალაძის ციკლურმა ბრიგადამ ყოველდღიური გეგმის შესრულება უკვე 140 პროცენტამდე აიყვანა. აკაკი ცერცვაძის ბრიგადა 109 პროცენტით ასრულებს გეგმას, ვას. ქველიაშვილის—125,6 პროცენტით, მიხა ხუციშვილის — 105 პროცენტით.

ბერიას სახელობის მაღაროს პირველი უბანი, რომელსაც სამთო ტექნიკოსი ამხ. დ. ჟორჟოლიანი ხელმძღვანელობს, შრომის ნაყოფიერების გეგმას 113 პროცენტით ასრულებს, მეორე უბნის შეორე ცვლა, გამოცდილი მაღაროელის ვლ. შეყილაძის ხელმძღვანელობით, მარგანეცის გამოღების ყოველდღიურ გეგმას 115-120 პროცენტით ასრულებს.

სტახანოველმა მებიგემ ელისე ცერცვაძემ და სტახანოველმა მბურღავმა სამსონ ხვედელიძემ ვალდებულება აიღეს კიდევ უფრო მეტად გაზარდონ გეგმის შესრულების მაჩვენებელი. მათ იმავე დღეს გაანადღეს დაპირება. მიცემული გეგმა ერთი-ორად შეასრულეს.

ვოროშილოვის სახელობის მაღაროს სტახანოველი ამწმენდი შ. კაპანაძე გეგმას 175 პროცენტით ასრულებს, ვ. ხვედელიძე—158-ით, უ. სამხარაძე—161-ით, ა. ზარქუა — 158-ით, ლ. კაპანაძე 183 პროცენტით და ა. შ.

Ლ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲡ

(ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

ტყიბულის ლენინის სახელობის ქვანახშირის მაღაროში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი დონბასელ მაღაროელთა მოწოდების განხილვისადმი. მოძმე მაღაროელთა მოწოდებამ, რომ ოთხ წელიწადში შეავასრულოთ ხუთწლედის დავალება შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში, — ტყიბულელთა შორის უდიდესი სიხარული გამოიწვია.

— 1939 წელს მეტი ქვანახშირის ამოღებაზე, — განაცხადა მაღაროს მთავარ ინჟინერმა ამხ. ფ. ნაჭყებიამ — ჩვენ ვეჯიბრებოდით დონბასის ვოროშილოვის სახელობის ქვანახშირის ტრესტის № 4 შახტს, რომელიც ერთერთი მოწინავე შახტია ალიმშულ ტრესტში, და ბრწყინვალე შედეგებს მივაღწიეთ. 14 დღით ადრე შევასრულეთ წლიური დავალება — გეგმის გადამეტებით ძვეცით სამშობლოს 14 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი, 1938 წელთან შედარებით 13,4 პროცენტით გავადიდეთ შრომის ნაყოფიერება და აღვზარდეთ ქვანახშირის ნგრევის ოსტატები ა. ბაბუხადია, მ. ღვინეფაძე, ვ. ცარეკიძე, ლ. ცქიფურიშვილი და სხვები, რომლებიც ქვანახშირის ნგრევის გეგმას სისტემატურად 240-250 პროცენტით ასრულებენ. 1940 წელს ჩვენ უფრო მეტი ქვანახშირი უნდა გამოვიღოთ.

მოწინავე უბნის უფროსმა ამხ. გ. ფანჩულიძემ ვალდებულება აიღო 1940 წელს 30 მუშას მიიღებინოს ქვანახშირის ნგრევის ოსტატის სახელწოდება და გასულ წლისთან შედარებით 35 პროცენტით გაზარდოს თითო მუშის შრომის ნაყოფიერება.

ახალ-ახალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე ამხ. შ. სოფრომაძემ, მ. ერგემლიძემ, გ. ილაიეთმა, ლ. კობეშავიძემ, დ. ყუბანეიშვილმა, შ. გუნიავამ.

ტყიბულის ქვანახშირის ლენინის სახელობის მაღაროს მუშაკთა კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სტალინის სახელობის მაღაროს, რომელმაც ეს გამოწვევა მიიღო და იკისრა ახალი ვალდებულებანი.

მოსკოვის საიარაღო ქარხნის მუშაკთა მოწოდების განხილვისას მიტინგზე სტალინის სახელობის მაღაროს კლუბში სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ი. ხორხორიელიძე, ქ. ბეშკენაძე (ორდენოსანი), დ. სუქნიძე, ე. სვიტენკო, ა. ტიმოფეევი, ა. კუტლაშვილი, ი. შალიკაშვილი, ორდენოსანმა ათისთავმა ამხ. ქ. ბეშკენაძემ იკისრა თავისი ცვლის წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება.

სტალინის სახელობის მაღარომ თავის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გელათის მაღაროს მუშაკთა კოლექტივი.

Დ. ᲡᲐᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲫᲕᲘ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ!

ᲐᲯᲐᲠᲛᲐᲠᲐ, 15 იანვარი (საქდესი) გუშინ და დღეს ტყვარჩელქვანახშირის მაღაროელებმა განიხილეს მოსკოველ მანქანათმშენებელთა დონბასის მექვანახშირეთა მოწოდებანი. სტალინის სახელობის წოლხვრელისა და № 2 წოლხვრელის მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა ცვლების კრებებზე ერთხმად მიიღეს ვალდებულებანი ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ. ამ მიზნით მაღაროელებმა გადასწყვიტეს სანგრევის თვითეული მუშის თვიური გამომუშავება აიყვანონ 62 ტონა ქვანახშირამდე, ე. ი. 1939 წლის საკონტროლო დავალებასთან შედარებით 35 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება. გადაწყვეტილია აგრეთვე, წარსული წლის დავალებასთან შედარებით, 40 პროცენტით იქნას გადიდებული. თვითეული საყელავი მანქანის ნაყოფიერება და მიღწეულ იქნას ციკლური მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლები.

მეგეზნეკეთა ბრიგადირმა, უფროსმა მაღაროელმა დანიელ კარპის-ძე კუზინმა იკისრა თავისი პროფესია შეასწავლოს წელს 20 ახალგაზრდა მაღაროელს. ყრილმნგრეველმა ამხ. ცაცუამ იკისრა ვალდებულება 200 პროცენტით შეასრულოს გამომუშავების ნორმა.

ტრესტის წოლხვრელებში სოციალისტური შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებებს სდებენ 1940 წლის პირველი ნახევრისათვის.

12 იანვარს სტალინის სახელობის წოლხვრელის ახალგაზრდობის მერვე უბანმა ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმა 132,5 პროცენტით შეასრულა.

Ი. ᲕᲔᲠᲮᲝᲕᲪᲔᲕᲘ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ჭრება სინათლე, სწყდება ხალხმრავალი ოუდიტორიის ხმიანობა, და სიხარულით აღსავსე მაყურებელთა წინაშე ეკრანზე ჩნდება ცოცხალი ლენინის სახე. ჩვენ ვხედავთ მას სპიჩელმაისონ დემონსტრაციაზე, „ვსეობუჩის" პარადზე, სკოლის გარეშე განათლების საკითხებზე მოწვეული პირველი ყრილობის დღეებში. მას აღტაცებით მიესალმება ხალხი, ტაშისცემით ეგებებიან ათიათასობით ადამიანები, რომლებიც ხარბად ისმენენ საყვარელი ბელადის თვითეულ სიტყვას და ამ ტაშისცემის ხმა თითქოს აღწევს აქ, მუზეუმის კინოდარბაზში, სადაც სხედან საბჭოთა ადამიანები, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულან. არა ერთი და ორი წელი გვაშორებს იმ დროს, როდესაც კინოოპერატორმა შესძლო გადაეღო აფსკზე ცალკეული ეპიზოდები დიდი ლენინის ცხოვრებიდან, მაგრამ უცვლელად ძლიერია ხალხის სიყვარული მისდამი, და ახლაც ისეთივე აღტაცებით უყურავენ მას ტაშს მაყურებლები, უყურებენ რა ეკრანს, რომელიც ცოცხლებს მის ძვირფას სახეს.

ლენინის შესახებ დოკუმენტალური ფილმის დემონტრაციით მთავრდება მუზეუმის უკანასკნელი, ოცდამეორე დარბაზის დათვალიერება. მაგრამ მუზეუმის ბევრი მნახველი უწონარეს ყოვლისა მიიჩქარის კინოდარბაზში, რომ უკვე აქედან დაიწყოს გაცნობა ექსპონატებისა გეგმით დადგენილი წესის მიხედვით. თუმცა ბევრი ექსკურსანტი ამჯობინებს კინოდარბაზი ინახულოს ორჯერ. ყველა ოთახის შემოვლის დაწყებამდე და შემოვლის შემდეგ.

მნახველთა ყურადღებას იზიდავენ დოკუმენტები, რომლებიც ახალსიათებენ მუშათა კლასის დიდი მასწავლებლის ლენინისა დისტალინის მეგობრობას, ზოგიერთი ფაქტები, რომლებიც ერთმანეთს უახლოვებენ მათს ბიოგრაფიებს.

ლენინმა ბრწყინვალედ დაამთავრა გიმნაზია, როგორც ბრწყინვალედ დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი ამხანაგმა სტალინმა. რევოლუციური მოღვაწეობისათვის ლენინი გარიცხეს ყაზანის უნივერსიტეტიდან; ამავე მიზეზით თბილისის სემინარიიდან გარიცხეს ამხანაგი სტალინიც. ორივეს სდევნიდა მეფის მთავრობა, საპყრობილეში ყოფნის დროსაც კი ისინი არ სწყვეტდნენ კავშირს რევოლუციურ ორგანიზაციებთან, ხელმძღვანელობას უწევდნენ მათ. სწერდნენ მათთვის მოწოდებებს, ფურცლებს, პროკლამაციებს.

მუზეუმში გამოფენილია პროკლამაცია „მეფის მთავრობას" და „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება". რომლებიც დაწერილია ლენინის მიერ საპყრობილეში 1895-1896 წლების პერიოდში. მუზეუმში გამოფენილია აგრეთვე მაკეტი ავლაბრის ცნობილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბისა, რომელიც საპყრობილეში მყოფ ამხანაგ სტალინის დირექტივებით შეიქმნა ამ სტამბაში იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებნი, მათი მგზნებარე სიტყვები, რომლებიც აღაფრთოვანებდნენ მასებს თავისი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ექსკურსიის ხელმძღვანელს მიეყვანართ კედელთან, სადაც მინის ქვეშ ჰკიდია 1899 წელს გამოცემული გაყვითლებული ტომი—„კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". ამ შრომისათვის რომ ემზადებოდა, ლენინმა წიგნების უდიდესი რაოდენობა წაიკითხა. ექსკურსიის ხელმძღვანელს აქვე მოაყვას ის ადგილი „სკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან", სადაც ეს შრომა შეფასებულია როგორც უმნიშვნელოვანესი მეცნიერული ნაშრომი, რომელმაც დაასრულა ნაროდნიკების იდეური განადგურება.

მივდივართ სხვა დარბაზებში, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ენებზე დაწერილი წიგნები, წაკითხული ლენინის მიერ იმ დღეებში, როდესაც იგი თავის ნაწარმოებზე მუშაობდა. მუზეუმის მნახველები მდუმარედ დგანან ვიტრინასთან, განცვიფრებულნი ვლადიმერ ილიას-ძის არა მარტო უღრმესი ერუდიციით, არამედ მისი არაჩვეულებრივი მუყაითობითა და შრომისუნარ

პარტიული ცხოვრება

პარჯიაში მივიღოთ ღირსეული ადამიანები

ყოველი პარტიული ორგანიზაციის წმინდათაწმინდა მოვალეობაა დაიცვას პარტიის რიგები შემთხვევითი, შეუმოწმებელი, უცხო ელემენტებისაგან და პარტიის რიგებში მიიღოს ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანები. „არ უნდა გვაგონწყდებოდეს, რომ ჩვენი პარტია ხალხია, რომლის კარები მხოლოდ ღირსეულთათვის გაიღება“ (სტალინი).

რა მდგომარეობაა ამ მხრივ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში?

— 1938 წელს ჩვენ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად 45 კაცი მივიღეთ, გასულ წელს კი სუსტად ვიმუშავეთ, — მხოლოდ 23 ამხანაგი მივიღეთ, — განაცხადა პარტბიუროს მდივანმა ამხ. მ. ბაღდასაროვმა.

ჩვენ პარტორგანიზაციას არ მოვთხოვთ, რომ გამოიჩინოს იჩქარება, მოუთმენლობა, პარტიაში ხელაღებით მიღების რეციდივები, მაგრამ არც ისაა მოსაწონი, როდესაც პარტიის რიგები არ იზრდება მოწინავე, შემოწმებული, კომუნიზმის საქმის ერთგული ადამიანების ხარჯზე. ქარხანაში, სადაც 425 კაცი მუშაობს, სადაც 167 სტახანოველია, ერთი წლის თანმიმდევრულ პარტიის რიგებში მიიღეს მხოლოდ 23 კაცი. ეს, ცხადია, პარტბიუროს სუსტი მუშაობის შედეგია.

პარტიული ორგანიზაცია უნდა იზრუნოს ძირითადი, წამყვანი პროფესიების ხარჯზე. მაგრამ რატომღაც ასე არ არის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. ახლად მიღებულ კომუნისტებს შორის მხოლოდ ამხ. ალ. მატუელოვია ხარატი. და ეს მაშინ, როდესაც ხარატობა ქარხანაში წამყვან პროფესიად ითვლება.

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ პარტიის წევრობის კანდიდატებად ძალიან რაოდენობით იღებენ საწარმოოტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ქარხანაში ამჟამად 60 ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაობს, მაგრამ მათგან პარტიაში იმოყოლიდ სამი ინჟინერი—ამხ. ქ. ჭუკბორიძე, ლ. ზურაბიანი და ვ. კევლიშვილი მიიღეს.

პარტორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატებად ყოველგვარი შესწავლის გარეშე, ხელაღებით მიიღო ნ. ფროლოვა და ვ. კოზლენკო. რაიკომის ბიუროს იმუშავა ბოლო გახდა გაეუქმებინა პარტორგანიზაციის გადაწყვეტილება და ნ. ფროლოვასა და ვ. კოზლენკოსათვის უარი ეთქვა პარტიის რიგებში მიღებაზე.

პარტიულ დავალებად აქ მეტად გავრცელებულია ოავისუფალ ორგანიზაციებში მუშობა და პროფორგანიზატორობა. ზოგიერთს კი სულაც არა აქვს დავალება; მაგალითად, ამხ. პ. დანილოვს, ა. ბაღდასაროვს, ალ. ჯანიაშვილს და სხვ.

პარტიის წევრობის კანდიდატებთან სუსტი მუშაობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აქ უკვე მოჩანს ეგრეთწოდებული „მარად“ კანდიდატებად გახდომის ნიშნები. საკანდიდატო სტაჟი კარგა ხანია გაუთავეთ ამხ. ტ. ბოსტანჯიანს, ს. მირაქოვს, ალ. ჯანიაშვილს, ა. ბაღდასაროვს და სხვებს, მაგრამ ჯერ ისევ კანდიდატებად ითვლებიან.

პ. ფიოკაძე

ჯარჯიაში მისაღებთა 69 განცხადება განუხილავია

საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-საეკონომიკურ ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ პარტიის წევრობის კანდიდატებად მიიღო 82 ამხანაგი, ხოლო კანდიდატობიდან წევრებად გადარიცხა 62 ამხანაგი. პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულთა შორის 17 ქალია.

პარტორგანიზაციამ თავისი რიგები გაზარდა მოწინავე ადამიანებით, ფრაიდოსანი სტუდენტებით, გამოჩენილი მეცნიერი მუშაკებით. პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულ იქნენ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ლ. კალაბაძე, მეცნიერებათა კანდიდატები სარიშვილი და გ. ჯაფარიძე, ფრაიდოსანი სტუდენტები ი. ცივაძე, ბელიაშვილი, ვ. ციმაკურიძე, გ. გოგოლაშვილი და სხვ. პარტიის წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გადარიცხეს პროფ. ნ. ხომეზურაშვილი, რომელსაც მრავალი ენერგიული შრომა აქვს, მოწინავე დოცენტები გიორგი კვაჭაძე, ხ. შალამბერიძე, გ. ქეშელაშვილი, სტუდენტები დ. დვალი, რუსუდან ჯალიანი და სხვ. ამჟამად სასოფლო-საეკონომიო ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია პარტიის 98 წევრსა და ამდენივე წევრობის კანდიდატს ითვლიანებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში პარტიაში მიღების საქმეს ყურადღებით იკიდებდა პარტორგანიზაცია, ნაკლოვანებები ძირეულ მნიშვნელოვანია. გასული წლის ნოემბრისათვის პარტბიუროს პარტიაში მისაღები ამხანაგების 100 განცხადება ჰქონდა განუხილავი. ამჟამად კი 3-4 თვის წინათ შემოტანილი 69 განცხადები განუხილავია.

პარტიაში მიღების დროს ზოგჯერ ივიწყებენ ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს. ამიტომ იყო, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა სხვადასხვა მიზეზების გამო 6 ამხანაგს უარი უთხრა პარტიაში მიღებაზე.

პარტიაში მიღებულთა შორის ქალები მცირე პროცენტს შეადგენენ. ახლად მიღებულ 144 პარტწევრკანდიდატიდან მხოლოდ 23 ქალია.

ჯერ კიდევ სუსტია კომუნისტების ავანგარდული როლი. მთელს ინსტიტუტში ფრაიდოსნად ითვლება მარტო 11 კომუნისტი.

პარტიის წევრი კ. კერნერი სამუშაოზე მთვრალი გამოცხადდა, ამის გამო იგი ინსტიტუტის დირექციამ მოხსნა, პარტბიუროს კი მისი საკითხი არც კი განუხილავს.

ყველა კომუნისტის პარტიული მეურნეობა არ არის მოყვანილი წესრიგში. 4 კაცი 3-4 თვეა ამ პარტორგანიზაციაში აღარ ირიცხება, მათი პირადი საქმეები კი ისევ აქ არის. არიან ისეთებიც (10 ამხანაგი), რომლებიც დიდიხანია ინსტიტუტის პარტორგანიზაციაში მუშაობენ, მაგრამ მათი პირადი საქმეები ამ ორგანიზაციაში არ არის.

რ. ფალავანდიშვილი

მჯიდეს ვუხელმძღვანელოთ ჯარჯიის რიგების ზრდის საქმეს

ს. საყვარელიძე
საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი.

ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი **სტალინის** გენიალურ მითითებათა საფუძველზე და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ყოველდღიური დახმარების შედეგად საგრძნობლად გააუმჯობესა პარტიის რიგებში მიღების საქმე.

მტკიცედ ვხელმძღვანელობდით რა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებით, XVIII ყრილობის შემდეგ მივიღეთ პარტიის წევრობის 197 კანდიდატი და წევრად გადავრიცხეთ 120 კაცი. შეიქმნა ახალი 11 პირველადი პარტიული ორგანიზაცია. მიღებულთა შორის 98 მუშაა, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები — 206, აგრონომები — 14, მასწავლებლები — 73 და ექიმები—4.

მთელმა რიგმა პარტორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს პარტიის რიგებში მიღების საქმე. მაგალითად, გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკის პარტორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი—ამხ. ვ. ჭყოლიე) XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ პარტიაში მიიღო 39 ამხანაგი.

პარტკანდიდატი მინადორა გორგაძე ვამხეხ საამქროში ორ დაზგაზე მუშაობს და ყოველდღიურ გეგმას 155 პროცენტით ასრულებს. მან ტექმინიმუმი ფრიადზე ჩაბარა. იგი საამქროში ითვლება აგიტატორად, სწავლობს საღამოს ათწლედში. პარტკანდიდატი ვლადიმერ ჭყოლიე მუშაობს სადურგლო საამქროში და ყოველდღიურ გეგმას 152 პროცენტით ასრულებს და თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისთვისაც კარგად მუშაობს.

ხუნევის სასოფლო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა პარტორგანიზაციამ (პარტორგი ამხ. სახვაძე) მიიღო 20 კაცი, მათ შორის მოწინავე მასწავლებელი, ორდენოსანი თამარ ჯაფარიძე.

სოფ. ბაზალეთის საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციამ (პარტორგი—ამხ. შ. ჭიპაშვილი) მიიღო სტახანოველი მოწინავე კოლმეურნე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნადეჟდა თხელიძე.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ ყველანაირ ხელოვნურ ბარიერებს, ეს ეხება ეროვნულ საკითხებს, ეროვნულ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ ურთიერთობებს. ეს ეხება

როგორ აგროვებს შვეიცარიის რეაქცია „მოხალისეებს“ თეთრ ფინელების დასახმარებლად

სტოკჰოლმი, 15 იანვარი (საკდესი). უკანასკნელ დროს შვეიცარიაში გამალებით აგროვებენ „მოხალისეებს“ უმუშევართა შორის ციხე-სიმაგრეების საშენებლად მანერჰაიმის ფინეთში. უმუშევართათვის დახმარების გაცემის შეწყვეტამ და საზოგადოებრივ სამუშაოთა შემცირებამ უპუშევრობის ზრდა გამოიწვიეს შვეიცარიაში. შვეიცარიის რეაქცია, იყენებრა უმუშევართა მძიმე მდგომარეობას, ყოველმხრივ აიძულებს მათ ჩაეწეროონ „მოხალისეთა“ რაზმებში. როგორც გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“ იუწყება, ბოხუსლენის რაიონის ათასი უმუშევარი ქვეშმთლელი გაიგზავნება ფინეთში ციხე-სიმაგრეთა მშენებლობაში გამოსაყენებლად. გაზეთი აშინებს შვეიცარიის ქვეშმთლელებს და წინადადებას აძლევს მათ დაუყოვნებლივ გაემგზავრონ თეთრ ფინეთში, რადგან „უმუშევარ ქვეშმთლელთა რიცხვი შვეიცარიაში მალე გაორკეცდებაო“.

თეთრი ფინეთის დახმარების მომხრეები სხვა ხერხსაც მიმართავენ „მოხალისეთა“ შესაგროვებლად. ისინი თეთრ ფინელებთან სამსახურისათვის დიდ ფულს ჰპირდებიან. დამახასიათებელია, რომ ხელშეკრულებას „მოხალისესთან“, როგორც იუწყება ნორვეგიის გაზეთი „ტიდენს ტაინი“, ხელს აწერენ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავის ნაწილში გამოცხადდება, ე. ი. როდესაც დარწმუნებული იქნებიან, რომ „მოხალისედ“ მიღებული ნამდვილად ჩავიდა ფინეთში. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ „მოხალისეთა“ შემკრები ბიურო, იმავე გაზეთის განცხადებით, „თანამშრომლობს პოლიციასთან“, მისი დახმარებით არკვევს „მოხალისედ მიღებულის მორალურ მდგომარეობას“.

„მოხალისეთა“ შეგროვებაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო სამხედროები, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებაც. ამას წინათ სტოკჰოლმის გუბერნატორის მოადგილემ სუნდბერგმა, რომელიც ფინანსებს განაგებს, ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელს მიმართა ბარათით, რომელშიც აღნიშნა, რომ ყველა მოსამსახურეს, რომელიც მოისურვებს „მოხალისედ“ ფინეთში გამგზავრებას, მათი ახლანდელი ხელფასის ნახევარი მიეცემათ.

ინგლისის მთავრობის პასუხი ამერიკის ქვეყნების ნოტაზე

ლონდონი, 16 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ ინგლისის მთავრობამ უარჰყო ნოტა, რომელიც მას პანამის მთავრობამ ამერიკის 21 რესპუბლიკის სახელით გადასცა 23 დეკემბერს. ამ ნოტაში აღნიშნული იყო, რომ გერმანიის სახაო გემ „ადმირალ გრაფ შპეეს“ წინააღმდეგ ინგლისის სამხედრო გემების ოპერაციებით დარღვეულ იქნა პანამერიკული დეკლარაცია ამერიკის სანაპიროსთან უშიშროების 300-მილიანი ზონის დაწესების შესახებ. თავის პასუხში ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ საერთაშორისო ღონისძიებათა მიუღებლად უშიშროების ზონა შეიძლება გადაიქცეს გერმანიის სამხედრო გემების, აგრეთვე გერმანიის იმ გემების თავშესაფარად, რომლებიც სამხედრო გემებს ამარაგებენ. ამასთან დაკავშირებით ინგლისის მთავრობა ამ ზონაში მეომარი მხარის ყველა უფლებას იტოვებს მანამდე, სანამ თავიდან არ იქნება აცილებული საფრთხე, რომ ამ ზონას გამოიყენებენ ვერმანიის გემები, რომლებიც ცდილობენ თავი აარიდონ მოკავშირეთა სამხედრო გემებთან შეხვედრას.

ამერიკელი ჟურნალისტი ამხელს ანგლისაბჭოთა ცნობებს

ნიუ-იორკი, 15 იანვარი (საკდესი). ფინეთის ამბების შესახებ ამერიკის პრესისა და რადიოს ცრუ ცნობებთან დაკავშირებით ჟურნალმა „ნიუ მესესმა“ გამოაქვეყნა ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის ჯორჯ სელდსის სტატია, რომელშიც იგი სწერს: „თუმცა ჟურნალისტის მუშაობის 30 წლის გამოცდილება მაქვს, მაგრამ მე არასოდეს არ მოგსწრებივარ ასეთს განზრახ ცრუ კამპანიას, რასაც ამერიკის პრესა და რადიო ეწევა საბჭოთა კავშირის მიმართ“. სელდსი გადაბრით უარჰყოფს ამერიკის პრესის მიერ გავრცელებულ სხვადასხვა ჭორებს, როგორც მაგალითად, ცნობებს იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა ავიაცია ყუმბარებს უშენს სამოქალაქო მოსახლეობას და სხვ. ამერიკის პრესამ მშვენივრად იცის, რომ საბჭოთა თვითმფრინავები არ უშენენ ყუმბარებს სამოქალაქო მოსახლეობას, სწერს სელდსი, მაგრამ პრესა განზრახ აქვეყნებს ამ ცრუ ცნობებს.

ანგლისაბჭოთა რეზოლუციის უარყოფა

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). ამ დღეებში გაიმართა ლონდონის პროფსაბჭოს გაფართოებული სხდომა, სადაც ერთერთმა პროფბიუროკრატმა ანტისაბჭოთა რეზოლუცია შეიტანა. მაგრამ ეს ანტისაბჭოთა გამოსვლა სრული დამარცხებით დამთავრდა. პროფსაბჭოს ერთერთმა წევრმა დაუყოვნებლივ შეიტანა წინადადება, რათა პროფსაბჭოს სახელით დაგზავნილი ყოფილიყო სამომარი მასალის გაგზავნა მანერჰაიმისათვის, რომელიც ამ მასალას იყენებს ფინეთის ხალხისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ორატორმა შეიტანა წინადადება ანტისაბჭოთა რეზოლუციის უარყოფის შესახებ და მოითხოვა გადასვლა დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე. მისი წინადადება მიღებულ იქნა და რეზოლუცია ამრიგად უარყოფილ იქნა.

„დეილი უორკერი“ ამ ფაქტს უყურებს, როგორც მარცხს ინგლისის ტრედუნიონების კონგრესის მომხრეებისას, რომლებიც ცდილობენ ლონდონის პროფსაბჭოს პოლიტიკა მიმართონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობის ჭეშმარიტი საიმონის სიფყვაზე

ლონდონი, 15 იანვარი (საკდესი). ინგლისის პრესა ფართო კომენტარებს უკეთებს ფინანსთა მინისტრის საიმონის სიტყვას, რომელიც მან გლაზგოში წარმოსთქვა. მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთები განსაკუთრებით იწონებენ საიმონის განცხადებას იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ომის წარმოება, თუ მოსახლეობა დიდ მსხვერპლს არ გაიღებსო. — თუ მოსახლეობა არ შეამცირებს მოხმარებას, — სწერს გაზეთი „ობსერვერი“, — მაშინ ინგლისში ფართო მოხმარების საქონლის ფასი უფრო გაიზრდება. ყოველივე ამას შეუძლია გამოიწვიოს უმუშევრობის მკვეთრი ზრდა და კატასტროფული კრიზისი. საიმონმა აღნიშნა, განაგრძობს გაზეთი, რომ ბიუჯეტსაც და საბარათო სისტემასაც მიზნად აქვთ ხელი შეუწყონ მოსახლეობის მიერ საქონლის მოხმარების შემცირებას.

იაპონიის ახალი მთავრობის შედგენა

ტოკიო, 15 იანვარი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ დამთავრებულია ახალი კაბინეტის შედგენა ადმირალ იონაის მეთაურობით. არ არიან მხოლოდ შერჩეული შინაგან საქმეთა და ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრთა პოსტების კანდიდატები. როგორც სააგენტო იუწყება, კაბინეტში შევიდნენ: პრემიერი — ადმირალი იონაი მიცუმასა, საგარეო საქმეთა მინისტრი — არიტა საძირო, სამხედრო მინისტრი — გენერალი ხატასიუნოკუ, საზღვაო მინისტრი — ვიცე-ადმირალი იოსიდა ძენგო, იუსტიციის მინისტრი — კომურა სეტაცუ, განათლების მინისტრი — მაცუურა ცინძირო (საიდუმლო მრჩეველი და კიუსიუს საიმპერატორო უნივერსიტეტის ყოფილი მრჩეველი), მიწისა და ტყის მინისტრი — სიმადა ტოსიო (სეიუკაის პარტიის „რეფორმისტული“ დაჯგუფების ერთერთი ლიდერი, მიწისა და ტყის ყოფილი მინისტრი ხიროტას კაბინეტში 1936 წელს), ფინანსთა მინისტრი საკრაუცი იუკიო (მინსეიტოს პარტიის ერთერთი ლიდერი და მიწისა და ტყის ყოფილი მინისტრი ხირანუმას კაბინეტში 1939 წელს), რკინიგზათა მინისტრი — მაცუნო ცურუხეი (სეიუკაის პარტიის „ორტოდოქსალური“ დაჯგუფების ერთერთი ლიდერი), კოლონიათა მინისტრი — ვენერალ კოისო კუნიაკი (კოლონიათა ყოფილი მინისტრი ხირანუმას კაბინეტში), კავშირგაბმულობის მინისტრი — კაცუ მასანორი (მინსეიტოს პარტიის ხელმძღვანელი წევრი), ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იოსიდა სიგერუ (გენერალური მდივანი ოკადას კაბინეტში 1934 წელს).

როგორც ვიცით, სამხედრო მინისტრი ხატა და საზღვაო მინისტრი იოსიდა აბეს კაბინეტში შედიოდნენ.

იაპონიის იმპერატორმა მოიწონა ახალი კაბინეტის შემადგენლობა

ტოკიო, 16 იანვარი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს, რომ დღეს იაპონიის იმპერატორმა მოიწონა ახალი კაბინეტის შემადგენლობა, რომელიც მას პრემიერმა იონაიმ წარუდგინა.

შინაგან საქმეთა მინისტრს პოსტზე დაინიშნა კოდამა ხიძო (ზედა პალატის წევრი, კოლონიების ყოფილი მინისტრი 1934-36 წლებში და კავშირგაბმულობის მინისტრი 1937 წელში). ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრად დაინიშნა ფუძივარა გინძირო (მრეწველთა სრულიად-იაპონიის ფედერაციის თავმჯდომარე).

„ასახი“ აღმირალ იონაის შესახებ

ტოკიო, 15 იანვარი (საკდესი). გაზეთმა „ასახმ“ დღეს სტატია მოათავსა ახალი პრემიერის ადმირალ იონაის შესახებ.

„პრემიერ-მინისტრის პოსტის კანდიდატად ადმირალ იონაის არჩევა, — სწერს გაზეთი, — უძველეს სახელმწიფო მოღვაწეთა ერთგვარ ხერხად მიიჩნიათ. ბედის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ იონაიმ, რომელიც აქტიურად იცავდა პოლიტიკაში ფლოტის ჩაურევლობის ხაზს, ახლა იმპერატორის დავალება მიიღო კაბინეტის შედგენის შესახებ. იონაი პრემიერობის პირველი რიგის კანდიდატია საზღვაო წრეებისაგან.

იგი საზღვაო მინისტრად დაინიშნა ჰაიასის კაბინეტში 1937 წელს. ჰაიასის კაბინეტის გადადგომის შემდეგ, იმავე წლის ივნისში ჰაიასის კაბინეტი კონოეს კაბინეტმა შეცვალა. იონაი საზღვაო მინისტრის პოსტზე დარჩა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, როგორც საზღვაო სამინისტროს მეთაურმა, როდესაც იმავე წლის ივლისში ჩინეთის ინციდენტმა იფეთქა. როდესაც კონოეს კაბინეტი გადადგა წარსული წლის იანვარში და ხირანუმას კაბინეტით შეიცვალა, ფლოტმა ერთსულოვნად უარჰყო იონაის დარჩენილიყო საზღვაო მინისტრის პოსტზე. იონაი თითქმის ორ წელიწადს იყო საზღვაო მინისტრის პოსტზე, რის შემდეგაც უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრად დაინიშნა.

იონაი დაიბადა ივატეს პრეფექტურა'ში, იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მორიოკას (ივატეს პრეფექტურის მთავარი ქალაქი) საუფალო სკოლის დამთავრების შემდეგ იონაი კადეტთა საზღვაო კორპუსში შევიდა და 1901 წელს დაამთავრა იგი. 1904-1905 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დროს იონაი ლეიტენანტად მსახურობდა. 1914 წელს მან სამხედრო-საზღვაო აკადემია დაამთავრა.

იონაის ეკავა მეორე და მესამე ესკადრის შტაბის უფროსის პოსტი, შემდეგ სარდლობდა სამხედრო საზღვაო ბაზებს ცინკაიში (კორეა), სასებოსა და იოკოსუკაში, იყო გაერთიანებული ესკადრის სარდალი და საზღვაო გენერალური შტაბის წევრი.

იონაი ერთერთ უდიდეს საზღვაო ავტორიტეტად ითვლება ჩინეთის საქმეებში. მას არ მიუღია ბრძოლა ინვალე სასკოლო განათლება და სამსახურში მისი დაწინაურება მაინცდამაინც სწრაფად არ ხდებოდა“.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ტოკიო, 15 იანვარი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, აბეს კაბინეტის გადადგომა არავითარ ცვლილებას არ იწვევს იაპონიის საგარეო პოლიტიკაში.

მინისძვრა იაპონიაში

ბერლინი, 15 იანვარი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ დღეს ნაშუადღევს პალერმოში საგრძნობი იყო ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა. რამდენიმე სახლი დაზიანებულია. წინასწარი ცნობების თანახმად, მიწისძვრის შედეგად რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ინდოეთის სტუდენტთა ფედერაციის რეზოლუცია

ქაბული, 15 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ბომბეი ქრონიკლი“ იუწყება, რომ ინდოეთის სტუდენტთა ფედერაციის სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „თანამედროვე იმპერიალისტური ომი მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის სწარმოებს და ამიტომ მიმართულია ინდოელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ“.

რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ინდოელ ხალხს ვერ გაუგია, თუ რად აცხადებს ინგლისის მთავრობა ევროპის ომს ისეთ ომად, რომელიც სამართლიანობისა და ჩაგრულ ერთა თავისუფლებისათვის სწარმოებს, მაშინ, როდესაც ინგლისისავე მთავრობა უარს ეუბნება ინდოელ ხალხს თავისუფლების მინიჭებაზე“.

საბარათო სისტემის გაუქართოება ინგლისში

რომი, 15 იანვარი (საკდესი). სტეფანის სააგენტო, ეკრდნობა რა ინგლისის გაზეთ „დეილი ექსპრესს“, იუწყება, რომ 5 თებერვლიდან ინგლისში შემოღებულ იქნება ხორცის ბარათები. ახლო მომავალში შემოღებულ იქნება აგრეთვე მარგარინის, ყველის, ქონის და. შესაძლოა, ჩაის ბარათები.

დაიწყო 1921-22 წლებში დაბადებულთა გასაწვევ პუნქტებზე მიწერა

ორჯონიკიძის რაიონში (თბილისი) დაიწყო 1921 და 1922 წლებში დაბადებულ იმ მოქალაქეთა მიწერა გასაწვევ პუნქტზე, რომლებიც საშუალო სკოლაში სწავლობენ.

მიწერისათვის სერიოზული წინასწარი მუშაობა ჩაატარა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამხედრო კომისარიატმა. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მიერ გამოყოფილ აქტივთან ერთად სამხედრო კომისარიატმა სათანადო მუშაობა გასწია მისაწერი ამხანაგების ორგანიზებულად გამოცხადებისათვის. მისაწერი პუნქტი გაფორმებულია ბელადის პორტრეტებით, პლაკატებითა და ლოზუნგებით. პუნქტში მოწყობილია ლენინის ოთახი, თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭომ მოაწყო სამხედრო კუთხე, წითელმა ჯვარმა—ჯანმრთელობის კუთხე და სხვ.

მიწერის პირველ დღეს მისაწერ პუნქტზე გამოცხადდნენ გათვალისწინებულზე მეტი ამხანაგები. საქიმო კომისიის მუშაობამ ცხადჰყო, რომ გამოცხადებული ახალგაზრდობა ჯანსაღი და ბრძოლისუნარიანია.

ა. აბესაძე

ორგანიზებულობა და ენგუზიაზმი

თბილისის ვოროშილოვის სახელობის კლუბი საუცხოოდ არის გაფორმებული. აქ მოთავსებულია ბერიას სახელობის რაიონის სამხედრო კომისარიატის მისაწერი პუნქტი. 1921-1922 წლებში დაბადებულნი, ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები სახარულით მოდიან აქ—მისაწერ პუნქტზე.

კომისია დროულად შეუდგა მზადებას 1921-22 წ. დაბადებული ახალგაზრდების მიწერისათვის. განსაკუთრებით კარგად მოემზადა ბერიას რაიონის ჯანმრთელობის განყოფილება—მიწერის მომსახურებისათვის გამოჰყო საუკეთესო ექიმები, რომელნიც შეუფერხებლივ მუშაობენ და დანიშნულ დროზე ცხადდებიან პუნქტზე.

ბევრ ახალგაზრდას შეაქვს განცხადება სამხედრო სკოლებში. შ. ბაბულიძემ, თ. ისკანდარაშვილმა, ა. ზახარიანმა, რ. იაშვილმა და სხვ. განცხადება შეიტანეს სტანკოდ და საავიაციო სკოლებში. კარგად დაყენებულია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობაც. ეწყობა ლექციებზე, საუბრები და პოპულარული მოხსენებები როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო საკითხებზე. პუნქტის კომისარი ამხ. კალაძე მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევა.

პუნქტზე, ყველგან წესრიგი, სიუფთავე და ორგანიზებული მუშაობის ნაყოფი იგრძნობა.

მ. სირაძე

მიღება სახმელეთო ჯარის სამხედრო სასწავლებლებში

1940 წლის 15 იანვრიდან 10 თებერვლამდე ჩატარდება კურსანტების მორიგი მიღება სახმელეთო ჯარის სამხედრო სასწავლებლებში. სასწავლებლებში მიიღებიან 7 კლასის მოცულობის განათლებით — თადარიგის უმცროსი მეთაურები 27 წლამდე, ვადიანი და ზეგადიანი სამსახურის უმცროსი მეთაურები, 1938 წლის გაწვევის მორიგე შემადგენლობა და 1-ლი კატეგორიის თადარიგის მერიგე შემადგენლობა, რომელიც დათხოვნილია სამსახურიდან ულანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ხოლო დამთავრებული საშუალო განათლებით — 1939 წლის გაწვევის მერიგე შემადგენლობის სამხედრო სასწავლებლებში უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის განსაზღვრულია ერთი წლით, ხოლო დანარჩენთათვის — ორი წლით.

სამხედრო სასწავლებლებში შესვლის მსურველებმა განცხადება ამის შესახებ უნდა შეიტანონ ადგილობრივი რაიონული სამხედრო კომისრის სახელზე, ხოლო მუშურ-გლეხური წითელი არმიის წითელარმიელებმა და უმცროსმა მეთაურებმა — თავიანთი ნაწილის მეთაურის სახელზე.

მათემატიკოსთა პირველი კონფერენცია დრეკადობის თეორიაში

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, პირველიდან ხუთ თებერვლამდე თბილისში ჩატარდება მათემატიკოსთა პირველი კონფერენცია დრეკადობის თეორიაში. კონფერენციის მოსამზადებლად შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი აკადემიკოსების ნ. ი. მუსხელიშვილი (თავმჯდომარე), ს. ლ. სობოლევის, პროფესორების ვ. დ. კუპრაძის, დ. ი. პანოვის ი. ნ. ვეკუას და დოცენტ ა. გორგიძის (მდივანი) შემადგენლობით.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან საბჭოთა კავშირის გამოჩენილი მათემატიკოსები დრეკადობის თეორიაში—აკადემიკოსები: ნ. ი. მუსხელიშვილი, მ. ა. ლავრენტიევი, ბ. გ. გალიორკინი, ა. ნ. დინიკი, ს. ლ. სობოლევი, პროფესორები: ი. ი. პრივალოვი, ი. ი. შტაერმანი, ვ. მ. მიზელი, ს. გ. მიხლინი, ვ. დ. კუპრაძე, ი. ნ. ვეკუა, დოცენტები ა. კ. რუხაძე, ლ. ვ. მაღნარაძე და სხვები.

კონფერენციაზე წაკითხული იქნება 50 მეცნიერული მოხსენება.

„ექიმ კალიუჟნის“ საჯარო განხილვა

18 იანვარს, დღის 12 საათზე, კინოთეატრ „ოქტომბერში“ დანიშნულია კინო-სურათ „ექიმ კალიუჟნის“ საჯარო განხილვა, რომელსაც აწყობს სამედიცინო ინსტიტუტი უფროსი კურსების სტუდენტთა და პროფესორ-პედაგოგთა შემადგენლობისათვის ლიტერატურული საზოგადოებრიობის მონაწილეობით. გასინჯვის შემდეგ შესდგება დისკუსია.



8 იანვარს 10 საათსა და 45 წ. მოსკოვის აეროპორტის აეროდრომიდან თვითმფრინავი „დსზ“ გაფრინდა პირველ საცდელ რეისში ავიაბაზით მოსკოვი—ბერლინი. სურათზე: თვითმფრინავი „დსზ“ გაფრენის წინ.

ფოტო მ. რუნესი. (საკდესის ფოტოკლიშე).

ნეკროლოგი

პროფ. მ. ი. სიზენცევ

ხარკოვში გარდაცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, უკრაინის აკადემიის წევრი-კორეს. პონდენტი პროფესორი მიხეილ ივანეს-ძე სიტენკო. განსვენებული სამართლიანად ითვლებოდა საბჭოთა ორტოპედიისა და ტრავმატოლოგიის მეცნიერების ერთერთ თვალსაჩინო ხელმძღვანელად. თავისი ფართო ერუდიციითა და დიდი ორგანიზატორული ნიჭით მან ხარკოვის ორტოპედიისა და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა, დიდ სიმაღლემდე აიყვანა და გახადა მეცნიერების ამ დარგის ჭეშმარიტ კერად.

1927 წლიდან განსვენებული რედაქტორობდა ჟურნალ „ორტოპედია და ტრავმატოლოგიას“.

საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდად აფასებდა განსვენებულის მოღვაწეობას. იგი დაჯილდოებული იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის მაღალი სახელწოდებით და არჩეული უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1936 წელში, როდესაც მას შეუსრულდა საექიმო, პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობის 25 წელი, მთელმა საბჭოთა კავშირის საექიმო საზოგადოებრიობამ ზეიმით იდღესასწაულა ეს ღირსშესანიშნავი იუბილე.

დიდი ინტერესით და სიყვარულით ადევნებდა განსვენებული თვალს საქართველოში ორტოპედიისა და ტრავმატოლოგიის კერებისა და კურორტების განვითარებას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ უკანასკნელთა მეცნიერულ შესწავლაში. მისი ხელშეწყობითა და მეცნიერული ხელმძღვანელობით იყო გაგზავნილი 1932 წლის ზამთარში აგარაკ ბახმაროზე სპეციალური საექიმო ექსპედიცია. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ჩადიოდა ზაფხულობით ბორჯომში, წყალტუბოში, ბახმაროზე და კითხულობდა აქ ორმაშინაარსის ლექციებს.

პროფესორები: ცხაკაია, მჭავანაძე, მუხაძე, ზანდჯუკელი, იოსელიანი; ექიმები: შარაშენიძე, ჭურჭიანი, ბოსიძე, რატიშვილი, არშბა, გურგენიძე, აკოგია, კიკაბიძე.

რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის საბჭო

მოსკოვი (საკ. კორ.). სსრკ საბჭოსა-ბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობა. საბჭოში შედიან: ინსტიტუტის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ბ. ხორავა, სსრკ სახალხო არტისტი ა. ვასაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მდივანი ი. აბაშიძე, პროფესორები: შ. ამირანაშვილი და ა. ფალავა, მ. დუდუჩავა, გ. ჯაკობია, მ. ჭიაურელი, კ. შახაზარიანი და სხვ.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2845392, გაცემული გრიგოლ ყარამანის-ძე გაბელაიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2848893, გაცემული მიხეილ გიორგის-ძე იშხანოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ღღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „დაისი“ (ტალ. № 94), **რუსთაველის** სახელობის — „ოტელო“ (ტალ. № 93), **მარჯანიშვილის** სახელობის — „ვერაგობა და სიყვარული“.

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „პატრიოტი“, **ოქტომბერი** — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“, **დამკვრელი** — „უანღლესი ჯილდო“, **კომკავშირელი** — „ტრაქტორისტები“, **სპარტაკი** — „მფრინავები“, **ლუქსემბურგის** სახ. — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“, **26 კომ.** სახ. — „შორეულ აღმოსავლეთში“, **კომინტერნი** — „ჩაპაევი“.

17 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კიროვის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ლექცია — „16 წელი ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ულენინური გზით“.

ლექციას წაიკითხავენ ქართულად— ამხ. თავხელიძე, რუსულად — ამხ. ლიუდვიგოვი.

19 იანვარს იქვე, საღამოს 8 საათზე, გაიმართება ამხ. ფრუიძის ლექცია ქართულ ენაზე: „ულენინური მოძღვრება ომისა, ზავისა და რევოლუციის შესახებ“.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე პ. რატიანი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და გალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი

18 • • ი ა ნ ვ ა რ ი • მუდმივი ადგილების ტალონი № 95 მე-4 აბონემენტის მე-7 წარმოდგენა.

საქართველოს სსრ დამსახ. არტისტის ფაგმა მუხგროვას მონაწილეობით

ვ ე რ დ ი ა ი დ ა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები თეატრის სალაროში.

აბონენტები, რომლებსაც არ გადაუხდიათ მე-4 შესატანი, წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებული. 2—1 150

სახელსტრადის საზამთრო თეატრი

პლეხანოვის პროსპექტი № 123. ტელ. 3-66-01.

17 და 18 იანვარს

სახელსტრადის ვოდევილების თეატრის წარმოდგენა

საუზმის ბრალია ვოდევილი 3 მოქ. თარგმანი ლოლაძის და ტყაბლაძისა. დადგმა შ. მანაგაძისა.

დასაწყისი საღ. 9 საათზე. ბილეთები იყიდება დილის 11 ს-დან 3 ს-მდე, საღ. 6 ს-დან 10 ს-მდე.

19 იანვარს ესტრადის ძსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის **ოლღა დოლიძის** საღამო. დაწვრილებით აფიშებში. 200

საბჭოთა ვაჭრობის სრ. საკ. დაუსწრებელი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი ხსნის

მოსამზადებელ კურსებს

ქართულ და რუსულ ენებზე, 1940 წ. ინსტიტუტში შემსვლელთათვის: თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. კურსებზე მეცადინეობა უფასოა.

კურსებზე მიიღებიან ყველა მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა.

შემსვლელთა განცხადებების მიღება იწარმოებს 1 თებერვლამდე. განცხადებების მიღება და პირობების გაგება შეიძლება:

1. თბილისში—კიკეროველის ქ. № 12, ტელ. 3-57-81, საღ. 6—11 საათამდე (ფილიალის დირექციაში).
2. გორში—საქვაჭრობის განყოფილებაში ამხ. ჯოჯიშვილთან.
3. ქუთაისში—საქვაჭრობის განყოფილებაში ამხ. აფრიდონიძ სთან.
4. ბათუმში — ჯაფარიძის ქ. № 19 საბჭ. ვაჭრ. ტექნიკუმში ამხ. ჩიტაიშვილთან
5. სოხუმში — ვაჭრობის კომისარიატში სსსრ. კოლბინატის დირექტორ ამხ. სერედასთან.

4609 **საქ. ფილიალის დირექცია.**

საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დარგობრივი გაერთიანების „საქვაჭრობის“ ბალანსი 1939 წლ. 1 იანვრისათვის

(ათას მანეთობით)

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	საქონლის მარაგი	37.958
2	გაგზავნილი საქონელი	2.551
3	ფულადი სახსრები	4.080
4	სახსრები ანგარიშსწორებაში	3.795
5	მომავალი პერიოდის ხარჯები	208
6	განყენებული საშუალებანი	3.375
7	ძირითადი საშუალებანი	5.968
8	იჯარით აღებული ძირითადი სახსრები დამთავრ. კაპიტ. რემონტი	993
9	მასალის, ნედლეულის და სათბობის მარაგი	7.344
10	დაუმთავრებელი წარმოება და გადამუშავება	49
11	კაპ. დაბანდების ბალანსთან საბალანსთაშორისო ანგარიშსწორება	31
12	ზარალი მიმდინარე წლის	1.929
	ბ ა ლ ა ნ ს ი	68.281

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	საწესდებო ფონდი	10.057
2	დახარჯნი ფონდები	1.383
3	რეზერვები და რეგულატორები	3 644
4	კრედიტორები	13.027
5	საბიუჯეტო ფინანსირება	3 300
6	სხვადასხვა კრედიტები	3.119
7	მოკლე ვადიანი დაკრედიტება	33.751
	ბ ა ლ ა ნ ს ი	68 281

მოგება-ზარალის ანგარიში

1.	რეალიზაციის, მიმოქცევის ხარჯები	33.540	1. ოპერაციებიდან მოგება	34.564
2.	დანარჩენი ხარჯები	4.658	2. დანარჩენი შემოსავალი	1.705
			ს უ ლ	36.269
			ზარალის ნაშთი	1.929
	ბ ა ლ ა ნ ს ი	38.198	ბ ა ლ ა ნ ს ი	38.198

დირექტორი ვ. ლ. ხუნდარია. **მთავარი ბუღალტერი ვ. ვ. ქვალიაშვილი.**

ბალანსი და მოგება ზარალის ანგარიში დამტკიცებულია სსსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ (ოქმი 23/II—1939 წ.).

758 სსსრ ვაჭრ. სახ. კომისარიატის საფინანსო განყ. და ცენტრ. ბუღალტერიის უფროსი **ი. ლ. თოლხაძე.**

საქართველოს სახდაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირთან არსებული კურსები „სტენოტიპისტი“ იღებს ახალ ჯგუფს ქართულ და რუსულ ენებზე

მანქანაზე ბეჭდვის კურსებზე

პირობების გაგება შეიძლება კურსების კანცელარიაში ა წ. 20/I-მდე ბაგრატიონ-გრუზინსკის ქ. № 1, ტელეფონი 3-58-00, 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათზე.

8 **ადმინისტრაცია.**

ბ ა ს ი ი ვ ი

ალ ფ ა ბ ე ტ ი

**ბ ა ბ ა ნ ა ს ი ვ ი ლ ი ს ა ნ